



სს სადაზღვევო კომპანია უნისონი

ფინანსური ანგარიშგება დამოუკიდებელ აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	1
მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	6
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....	7
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	8

წარმომადგენლობა და დათქმა


წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია სს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“-ს მიერ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის საფუძველზე და წარმოადგენს სს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“ 2025 წლის წლიურ ანგარიშს, რომელიც შედგება ფინანსური ანგარიშგებისაგან.

ჩვენ ვადასტურებთ რომ:

- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება სრულად, სწორად და სამართლიანად ასახავს კომპანიის აქტივებს, ვალდებულებებს, შემოსავალსა და ხარჯებს, ფინანსურ მდგომარეობას, მოგებასა და ზარალს და ფულად ნაკადებს.

პასუხისმგებელი პირების განცხადება დამტკიცებულია სადაზღვევო კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

გენერალური დირექტორი



ვასილ ახრაბაძე

ფინანსური დირექტორი



კახაბერ ცერცვაძე

2026 წლის 15 აპრილი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს სადაზღვევო კომპანია უნისონის მფლობელსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სააქციო საზოგადოება სადაზღვევო კომპანია უნისონის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2025 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, ამავე თარიღით დასრულებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ასევე ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებს, მათ შორის არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამებას.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი განხორციელდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა, აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, აღწერილია ამ დასკვნის აბზაცში სათაურით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში არსებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოება - წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშის აუდიტის დასკვნა

კომპანიის 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი განხორციელდა სხვა აუდიტორმა (დასკვნა გაიცა 2024 წლის 15 აპრილს), რომელმაც გამოთქვა მოდიფიცირებული მოსაზრება შემდეგი საფუძვლით:

სს სადაზღვევო კომპანია უნისონის 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დროს წინარე აუდიტორმა აღმოაჩინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ კომპანიამ 2024 წელს დაანერგა ფასს 17 სტანდარტი, 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის შესაბამისი ინფორმაცია არ გადაუანგარიშებია ფასს 17-ისა და ბასს 8-ის შესაბამისად. კერძოდ, 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში წინარე აუდიტორის დაკვირვებით აღმოჩნდა, რომ კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა თანხვედრაში არ იყო ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი ფასს 17-ის შეფასების დადგენილ ახალ წესებთან, რომელიც ძალაში შევიდა 2023 წლის 1 იანვარს. ოპერაციები არ იყო აღრიცხული, ფასს 17-ის შეფასების, აღიარებისა და ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების შესაბამისად. ნაცვლად, ზოგიერთი საჭირო ინფორმაციის მართვა ხდებოდა ექსელის ცხილების გამოყენებით. კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვის სისტემაში ამ ინფორმაციის არარსებობამ გაართულა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე ფასს 17-ის ზემოქმედების საფუძვლიანი შეფასება 2023 ფინანსური წელთან მიმართებაში. აღნიშნული საკითხების მატერიალური გავლენის გამო 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობისათვის. 2024 წლის ფინანსური ანგარიშის წინარე აუდიტორის მოსაზრება მოდიფიცირებული იყო შესაბამისი პერიოდებთან მიმართებაში, რომელიც ეხებოდა 2023 წლის 31 დეკემბრის ფინანსურ წელიწადს.

ხელმძღვანელობისა და მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში მენეჯმენტი ვალდებულია შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობა გააგრძელოს საქმიანობა უწყვეტად და, საჭიროების შემთხვევაში, წარადგინოს ახსნა-განმარტებითი ინფორმაცია საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებით. მენეჯმენტი აგრეთვე ვალდებულია მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება საწარმოს უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტი აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეჩერებას, ან თუ კომპანიას არ აქვს სხვა რეალისტური არჩევანი.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან მეთვალყურეობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შემჩნევლობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შემჩნევლობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.
- ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავეგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვზატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული საადრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მიუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის აღკვეთურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებით შენიშვნებს და ვადგენთ, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

ანა გაბედავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)

შპს „ნელსია ჯორჯია“ (SARAS-F-550338)

15 აპრილი 2026

თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს სადაზღვევო კომპანია უნისონის მფლობელსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სააქციო საზოგადოება სადაზღვევო კომპანია უნისონის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2025 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, ამავე თარიღით დასრულებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ასევე ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებს, მათ შორის არსებითი სააღრიცხო პოლიტიკების შეჯამებას.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი განხორციელდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა, აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, აღწერილია ამ დასკვნის აბზაცში სათაურით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში არსებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოება - წინა პერიოდის ფინანსური ანგარიშის აუდიტის დასკვნა

კომპანიის 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი განხორციელდა სხვა აუდიტორმა (დასკვნა გაიცა 2024 წლის 15 აპრილს), რომელმაც გამოთქვა მოდიფიცირებული მოსაზრება შემდეგი საფუძვლით:

სს სადაზღვევო კომპანია უნისონის 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დროს წინარე აუდიტორმა აღმოაჩინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ კომპანიამ 2024 წელს დანერგა ფასს 17 სტანდარტი, 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის შესადარისი ინფორმაცია არ გადაუანგარიშებია ფასს 17-ისა და ბასს 8-ის შესაბამისად. კერძოდ, 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში წინარე აუდიტორის დაკვირვებით აღმოჩნდა, რომ კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა თანხვედრაში არ იყო ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი ფასს 17-ის შეფასების დადგენილ ახალ წესებთან, რომელიც ძალაში შევიდა 2023 წლის 1 იანვარს. ოპერაციები არ იყო აღრიცხული, ფასს 17-ის შეფასების, აღიარებისა და ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების შესაბამისად. ნაცვლად, ზოგიერთი საჭირო ინფორმაციის მართვა ხდებოდა ექსტრის ცხილების გამოყენებით. კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვის სისტემაში ამ ინფორმაციის არარსებობამ გაართულა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე ფასს 17-ის ზემოქმედების საფუძვლიანი შეფასება 2023 ფინანსური წელთან მიმართებაში. აღნიშნული საკითხების მატერიალური გავლენის გამო 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობისათვის. 2024 წლის ფინანსური ანგარიშის წინარე აუდიტორის მოსაზრება მოდიფიცირებული იყო შესადარისი პერიოდებთან მიმართებაში, რომელიც ეხებოდა 2023 წლის 31 დეკემბრის ფინანსურ წელიწადს.

ხელმძღვანელობისა და მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში მენეჯმენტი ვალდებულია შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობა გააგრძელოს საქმიანობა უწყვეტად და, საჭიროების შემთხვევაში, წარადგინოს ახსნა-განმარტებითი ინფორმაცია საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებით. მენეჯმენტი აგრეთვე ვალდებულია მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება საწარმოს უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტი აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეჩერებას, ან თუ კომპანიას არ აქვს სხვა რეალისტური არჩევანი.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელი არიან მეთვალყურეობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შემთხვევაში რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შემჩნევლობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.
- ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილებში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის აღეკვალურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურას და მინაარსს, განმარტებით შენიშვნებს და ვადგენთ, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

ანა გაბედავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)

შპს „ნექსია ჯორჯია“ (SARAS-F-550338)

15 აპრილი 2026

თბილისი, საქართველო



მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

შენიშვნები		2025	2024
სადაზღვევო ამონაგები	4	50,752,317	53,024,794
სადაზღვევო მომსახურების ხარჯები	5	(35,660,525)	(23,134,595)
სადაზღვევო მომსახურების შედეგი გადაზღვევამდე		15,091,792	29,890,199
გადაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული შემოსავალი	4	10,588,696	1,440,311
გადაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ხარჯები	5	(25,645,039)	(26,049,935)
გადაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული წმინდა ხარჯები		(15,056,343)	(24,609,624)
ფინანსური შემოსავალი და ხარჯები	6	(358,109)	(196,865)
წმინდა ფინანსური შემოსავალი (ხარჯი) გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან		130,429	183,906
სადაზღვევო მომსახურების შედეგი წმინდა ფინანსური შემოსავალი		(192,231)	5,267,616
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი, წმინდა		1,638,214	2,059,554
წმინდა ფინანსური შედეგი		391,730	7,978,189
სხვა შემოსავალი		545,895	908,528
მოგება დაბეგვრამდე		937,625	8,886,717
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება		937,625	8,886,717
სხვა სრული შემოსავალი		3,747,298	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		4,684,923	8,886,717

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2026 წლის 15 აპრილს

ვასილ ახრახაძე

გენერალური დირექტორი

კახაბერ ცერცვაძე

ფინანსური დირექტორი

ფინანსური ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 8-66 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2025	31.12.2024
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	7	12,249,837	15,546,090
საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები	8	19,829,511	20,377,040
გადაზღვევის კონტრაქტებიდან წარმომობილი აქტივები	9	11,316,714	2,629,897
სხვა აქტივები	10	2,505,515	1,932,720
აქტივის გამოყენების უფლება		310,415	643,088
არამატერიალური აქტივები		123,758	160,388
ძირითადი საშუალებები	11	7,856,015	4,238,656
		54,191,765	45,527,879
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	14	2,459,435	2,459,435
გადაფასების რეზერვი		5,223,195	1,475,897
გაუნაწილებელი მოგება		18,826,867	21,672,309
		26,509,497	25,607,641
ვალდებულებები			
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმომობილი ვალდებულებები	12	23,382,820	11,846,571
საგადასახადო ვალდებულება		345,362	323,535
საიჯარო ვალდებულებები		415,945	660,259
სხვა ვალდებულებები	13	3,538,141	7,089,873
		27,682,268	19,920,238
		54,191,765	45,527,879

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2026 წლის 15 აპრილს

ვასილ ახრახაძე

გენერალური დირექტორი

კახაბერ ცერცვაძე

ფინანსური დირექტორი

ფინანსური ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 8-66 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2025	2024
სადაზღვევო ამონაგებიდან მიღებული თანხა	53,714,068	48,771,409
გადახდილი სადაზღვევო მომსახურების ხარჯი	(17,507,277)	(16,026,088)
გადახდილი სადაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილი ხარჯები	(24,098,383)	(19,864,979)
სადაზღვევის კონტრაქტებიდან მიღებული ფული	1,410,005	1,071,371
მიღებული(გადახდილი) დეპონირება	(2,784,861)	1,841,285
გადახდილი შრომის ანაზღაურება	(4,019,250)	(3,598,332)
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(1,645,477)	(1,710,410)
გადახდილი საბანკო ხარჯები	(19,350)	(25,090)
გადახდილი იჯარა	(15,260)	(13,480)
გადახდილი კონსულტანტების და აუდიტორების მომსახურება	-	(33,040)
გადახდილი საკომუნიკაციო ხარჯები	(2,207,102)	(1,282,982)
დეპოზიტებიდან მიღებული პროცენტები	2,124,364	1,448,475
გადახდილი მარკეტინგის და რეკლამის ხარჯები	-	(6,611)
სხვა შემოსავალი	422,521	108,733
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები	5,373,998	10,680,261
სესხის გაცემა	(225,892)	(266,789)
შემოსავალი გაცემული სესხებიდან	484,640	-
შეძენილი ძირითადი საშუალებები	(141,283)	(383,319)
სხვა წინასწარ გადახდილი ხარჯები	(3,889,748)	(2,651,893)
მიღებული ავანსები	77,617	36,896
შემოსავალი საინვესტიციო საქმიანობიდან	97,038	-
გასავალი საინვესტიციო საქმიანობიდან	(101,851)	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები	(3,699,479)	(3,265,105)
საიჯარო ვალდებულებების ძირის გადახდა	(303,938)	(82,371)
გადახდილი დივიდენდი	(3,665,368)	(470,250)
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან/ (გამოიყენება).	(3,969,306)	(552,621)
სავალუტო კურსის ცვლილებების ეფექტი	(1,001,466)	694,788
ფული და ფულის ექვივალენტები წმინდა ზრდა/(კლება)	(3,296,253)	7,557,323
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	15,546,090	7,988,767
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	12,249,837	15,546,090

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2026 წლის 15 აპრილს

ვასილ ახრახაძე

კახაბერ ცერცვაძე

გენერალური დირექტორი

ფინანსური დირექტორი

ფინანსური ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 8-66 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გადაფასების რეზერვი	სულ
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	2,459,435	13,190,111	1,566,378	17,215,924
წლის სრული შემოსავალი		8,886,717		8,886,717
დივიდენდის გატანა		(495,000)		(495,000)
გადაფასების რეზერვის გადატანა გაუნაწილებელ მოგებაზე		90,481	(90,481)	-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	2,459,435	21,672,309	1,475,897	25,607,641
წლის სრული შემოსავალი		937,625		937,625
დივიდენდის გატანა*		(3,783,067)		(3,783,067)
გადაფასების რეზერვის ზრდა			3,747,298	3,747,298
ნაშთი 2025 წლის 31 დეკემბერს	2,459,435	18,826,867	5,223,195	26,509,497

*წლის განმავლობაში გამოცხადებული დივიდენდები აღემატებოდა მიმდინარე წლის მოგებას. თუმცა, აღნიშნული განაწილება განხორციელდა წინა პერიოდებიდან გადმოტანილი დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან.

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2026 წლის 15 აპრილს

ვასილ ახრახაძე

კახაბერ ცერცვაძე

გენერალური დირექტორი

ფინანსური დირექტორი

ფინანსური ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 8-66 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად


მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

შენიშვნები		2025	2024
სადაზღვევო ამონაგები	4	50,752,317	53,024,794
სადაზღვევო მომსახურების ხარჯები	5	(35,660,525)	(23,134,595)
სადაზღვევო მომსახურების შედეგი გადაზღვევამდე		15,091,792	29,890,199
გადაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული შემოსავალი	4	10,588,696	1,440,311
გადაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ხარჯები	5	(25,645,039)	(26,049,935)
გადაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული წმინდა ხარჯები		(15,056,343)	(24,609,624)
ფინანსური შემოსავალი და ხარჯები	6	(358,109)	(196,865)
წმინდა ფინანსური შემოსავალი (ხარჯი) გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან		130,429	183,906
სადაზღვევო მომსახურების შედეგი		(192,231)	5,267,616
წმინდა ფინანსური შემოსავალი		1,638,214	2,059,554
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი, წმინდა		(1,054,253)	651,019
წმინდა ფინანსური შედეგი		391,730	7,978,189
სხვა შემოსავალი		545,895	908,528
მოგება დაბეგვრამდე		937,625	8,886,717
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება		937,625	8,886,717
სხვა სრული შემოსავალი		3,747,298	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		4,684,923	8,886,717

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2026 წლის 15 აპრილს


ვასილ ახრახაძე

გენერალური დირექტორი



კახაბერ ცერცვაძე

ფინანსური დირექტორი



ფინანსური ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 8-66 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2025	31.12.2024
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	7	12,249,837	15,546,090
საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები	8	19,829,511	20,377,040
გადაზღვევის კონტრაქტებიდან წარმომობილი აქტივები	9	11,316,714	2,629,897
სხვა აქტივები	10	2,505,515	1,932,720
აქტივის გამოყენების უფლება		310,415	643,088
არამატერიალური აქტივები		123,758	160,388
ძირითადი საშუალებები	11	7,856,015	4,238,656
		54,191,765	45,527,879
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	14	2,459,435	2,459,435
გადაფასების რეზერვი		5,223,195	1,475,897
გაუნაწილებელი მოგება		18,826,867	21,672,309
		26,509,497	25,607,641
ვალდებულებები			
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმომობილი ვალდებულებები	12	23,382,820	11,846,571
საგადასახადო ვალდებულება		345,362	323,535
საიჯარო ვალდებულებები		415,945	660,259
სხვა ვალდებულებები	13	3,538,141	7,089,873
		27,682,268	19,920,238
		54,191,765	45,527,879

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2026 წლის 15 აპრილს


ვასილ ახრახაძე

გენერალური დირექტორი



კახაბერ ცერცვაძე

ფინანსური დირექტორი




ფინანსური ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 8-66 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება


	2025	2024
სადაზღვევო ამონაგებიდან მიღებული თანხა	53,714,068	48,771,409
გადახდილი სადაზღვევო მომსახურების ხარჯი	(17,507,277)	(16,026,088)
გადახდილი გადაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილი ხარჯები	(24,098,383)	(19,864,979)
გადაზღვევის კონტრაქტებიდან მიღებული ფული	1,410,005	1,071,371
მიღებული(გადახდილი) დეპონირება	(2,784,861)	1,841,285
გადახდილი შრომის ანაზღაურება	(4,019,250)	(3,598,332)
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(1,645,477)	(1,710,410)
გადახდილი საბანკო ხარჯები	(19,350)	(25,090)
გადახდილი იჯარა	(15,260)	(13,480)
გადახდილი კონსულტანტების და აუდიტორების მომსახურება	-	(33,040)
გადახდილი საკომუნიკაციო ხარჯები	(2,207,102)	(1,282,982)
დეპოზიტებიდან მიღებული პროცენტები	2,124,364	1,448,475
გადახდილი მარკეტინგის და რეკლამის ხარჯები	-	(6,611)
სხვა შემოსავალი	422,521	108,733
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები	5,373,998	10,680,261
სესხის გაცემა	(225,892)	(266,789)
შემოსავალი გაცემული სესხებიდან	484,640	-
შეძენილი ძირითადი საშუალებები	(141,283)	(383,319)
სხვა წინასწარ გადახდილი ხარჯები	(3,889,748)	(2,651,893)
მიღებული ავანსები	77,617	36,896
შემოსავალი საინვესტიციო საქმიანობიდან	97,038	-
გასავალი საინვესტიციო საქმიანობიდან	(101,851)	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები	(3,699,479)	(3,265,105)
საიჯარო ვალდებულებების ძირის გადახდა	(303,938)	(82,371)
გადახდილი დივიდენდი	(3,665,368)	(470,250)
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან/ (გამოიყენება).	(3,969,306)	(552,621)
სავალუტო კურსის ცვლილებების ეფექტი	(1,001,466)	694,788
ფული და ფულის ექვივალენტები წმინდა ზრდა/(კლება)	(3,296,253)	7,557,323
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	15,546,090	7,988,767
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	12,249,837	15,546,090

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2026 წლის 15 აპრილს

ვასილ ახრახაძე



კახაბერ ცერცვაძე



გენერალური დირექტორი

ფინანსური დირექტორი

ფინანსური ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 8-66 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად


საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გადაფასების რეზერვი	სულ
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	2,459,435	13,190,111	1,566,378	17,215,924
წლის სრული შემოსავალი		8,886,717		8,886,717
დივიდენდის გატანა		(495,000)		(495,000)
გადაფასების რეზერვის გადატანა გაუნაწილებელ მოგებაზე		90,481	(90,481)	-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	2,459,435	21,672,309	1,475,897	25,607,641
წლის სრული შემოსავალი		937,625		937,625
დივიდენდის გატანა*		(3,783,067)		(3,783,067)
გადაფასების რეზერვის ზრდა			3,747,298	3,747,298
ნაშთი 2025 წლის 31 დეკემბერს	2,459,435	18,826,867	5,223,195	26,509,497


*წლის განმავლობაში გამოცხადებული დივიდენდები აღემატებოდა მიმდინარე წლის მოგებას. თუმცა, აღნიშნული განაწილება განხორციელდა წინა პერიოდებიდან გადმოტანილი დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან.

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2026 წლის 15 აპრილს

ვასილ ახრახაძე
 გენერალური დირექტორი



კახაბერ ცერცვაძე
 ფინანსური დირექტორი



ფინანსური ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 8-66 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა

სს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“ - ს/კ 404393152 (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2011 წელს. კომპანია ფუნქციონირებს სააქციო საზოგადოების ფორმით. გამოშვებული აქციების რაოდენობა შეადგენს 2,459,435 ცალს.

1 აქციის ნომინალური ღირებულება შეადგენს 1 ლარს. კომპანია ფლობს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ გაცემულ სიცოცხლის და არასიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიებს.

კომპანია მომხმარებელს სთავაზობს არასიცოცხლის დაზღვევის შემდეგ სახეობებს: სამედიცინო დაზღვევა, ქონების დაზღვევა, ავტოდაზღვევა, სამოგზაურო დაზღვევა, ტვირთის დაზღვევა, ფინანსური რისკის დაზღვევა, პასუხისმგებლობის დაზღვევა და ა.შ.

კომპანიის ცენტრალური ოფისი მდებარეობს თბილისში. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკე საბურთალოს რაიონი, გამრეკელის ქ. 19.

2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია სს „პრივატი“, რომელსაც 90% - იანი წილით აკონტროლებს ვასილ ახრახაძე.

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად, რაც წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის („ბასსკ“) მიერ გამოცემული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციებს, რომლებიც ძალაშია 2025 წლის 31 დეკემბერს.

სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულია წინა საანგარიშგებო პერიოდთან და არსებითი ცვლილებები არ დაფიქსირებულა.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის ანგარიშგებას, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგებასა და განმარტებით შენიშვნებს. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მუხლები წარმოდგენილია ლიკვიდურობის მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების საფუძველზე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში. ისტორიული ღირებულება ეფუძნება აქტივების სანაცვლოდ მიღებულ ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა რომლითაც აქტივი შეიძლება გაცვალოს, ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე, გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გამილი ხელის მანძილის“ პრინციპით განხორციელებულ ოპერაციაში. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების დასადგენად კომპანია მაქსიმალურად იყენებს ბაზრის დაკვირვებად მონაცემებს. თუ აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულება არ არის უშუალოდ დაკვირვებადი, ის შეფასებულია კომპანიის მიერ (კვალიფიციურ შემფასებელთან) შეფასების ტექნიკის გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად ზრდის შესაბამისი დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებას და მინიმუმამდე დაყავს დაუკვირვებადი მონაცემების გამოყენებას (მაგალითად: ბაზრის შესადარებითი მიდგომას გამოყენებას, რომელიც ასახავს უახლოეს ტრანზაქციის ფასებს მსგავსი ნივთებისთვის, დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზს ან ოფციონის ფასების მოდელს, რომლებიც ითვალისწინებს ემიტენტის სპეციფიკური გარემოებებს). გამოყენებული მონაცემები შეესაბამება ბაზრის მონაწილეებს მიერ გათვალისწინებულ აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს.

ახალი და შესწორებული სტანდარტები

ცხრილი – ახალი მოთხოვნები, რომლებიც ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან				
სტანდარტი / ცვლილება	გამოცემის თარიღი	ძალაში შესვლის თარიღი (აღრეული გამოყენება შესაძლებელია, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)	შესწორებული სტანდარტები / ინტერპრეტაციები	გაუქმებული სტანდარტი

სს სადაზღვევო კომპანია უნიონი
 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

გადაცვლადობის არარსებობა ცვლილებები ბასს 21-ში	2023 წლის აგვისტო	1 იანვარი, 2025	ბასს 21, ფასს 1	
--	-------------------	-----------------	-----------------	--

მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას არ აქვს ვალდებულება ნაადრევად გამოყენების, ბასს 8-ის (ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, ცვლილებები აღრიცხვის შეფასებებში და შეცდომები) 30-ე პარაგრაფი ავალდებულებს კომპანიას, რომ გამოაქვეყნოს ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვანია იმ ცვლილებების შეფასებისთვის, რომლებიც ამ ახალი სტანდარტების გამოყენებას მოჰყვება.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს იმ ცვლილებებსა და სტანდარტებს, რომელთა ძალაში შესვლის თარიღი 2025 წლის 1 იანვრის შემდგომია.

ცხრილი – ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები და ცვლილებები, რომლებიც გამოცემულია, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.				
სტანდარტი / ცვლილება	გამოცემის თარიღი	ძალაში შესვლის თარიღი (აღრეული გამოყენება შესაძლებელია, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)	შესწორებული სტანდარტები / ინტერპრეტაციები	გაუქმებული სტანდარტი
ფასს 18 წარდგენა და განმარტებითი შენიშვნების გამჟღავნება ფინანსურ ანგარიშგებაში	2024 წლის აპრილი	1 იანვარი, 2027	ფასს 1, ფასს 3, ფასს 5, ფასს 6, ფასს 7, ფასს 8, ფასს 9, ფასს 12, ფასს 13, ფასს 14, ფასს 15, ფასს 16, ფასს 17, ბასს 2, ბასს 7, ბასს 8, ბასს 10, ბასს 12, ბასს 16, ბასს 19, ბასს 20, ბასს 21, ბასს 24, ბასს 28, ბასს 29, ბასს 32, ბასს 33, ბასს 34, ბასს 38, ბასს 40, ბასს 41, ფასილ 1, ფასიკ 14, ფასიკ 17, ფასიკ 19, ფასიკ 23, იმკ-32	ბასს 1
ფასს 19 შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებითი შენიშვნების გამჟღავნება	2024 წლის მაისი	1 იანვარი 2027	ფასს 1, ფასს 5, ფასს 13, ფასს 17, ფასს 18, ბასს 32, ბასს 34, ფასიკ 14	
ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციისა და შეფასების ცვლილებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში	2024 წლის მაისი	1 იანვარი 2026	ფასს 7, ფასს 9, ფასს 19	
ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება – ტომი 11	2024 წლის ივლისი	1 იანვარი 2026	ფასს 1, ფასს 7, ფასს 9, ფასს 10, ბასს 7	

ბუნებრივ პირობებზე დამოკიდებულ ელექტროენერჯიასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები ცვლილებები ფასს 9 -სა და ფასს 7- ში	2024 წლის დეკემბერი	1 იანვარი 2026	ფასს 7, ფასს 9	
--	---------------------	----------------	----------------	--

ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები

ფასს 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ ადგენს აღიარების, შეფასების, წარდგენისა და ინფორმაციის გამჟღავნების პრინციპებს სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის და დისკრეციული მონაწილეობის პირობების მქონე საინვესტიციო ხელშეკრულებებისთვის. მოდელი აფასებს სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფებს, მომავალი ფულადი ნაკადების, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის მიერ ხელშეკრულებების შესრულებისას, დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რისკის კორექტირება არაფინანსური რისკისთვის და სახელშეკრულებო მომსახურების მარჯა.

ფასს 17-ის მიხედვით, დაზღვევის შემოსავალი თითოეულ საანგარიშო პერიოდში წარმოადგენს დარჩენილი დაფარვის ვალდებულებებში ცვლილებებს, რომლებიც დაკავშირებულია იმ მომსახურებებთან, რომელთა სანაცვლოდაც კომპანია ელის ანაზღაურებას, და პრემიის იმ ნაწილს, რომელიც დაკავშირებულია სადაზღვევო შეძენის ფულადი ნაკადების ანაზღაურებასთან. გარდა ამისა, საინვესტიციო კომპონენტები აღარ შედის დაზღვევის შემოსავალსა და დაზღვევის მომსახურების ხარჯებში.

კომპანია იყენებს PAA მიდგომას არასასიცოცხლო სეგმენტში ხელშეკრულებების შეფასების გასამარტივებლად. PAA მიდგომა მსგავსია კომპანიის წინა სააღრიცხვო მიდგომის, როცა ვალდებულებების შეფასება ხდება დარჩენილი პერიოდისთვის. მომხდარი ზარალების ვალდებულებების შეფასებისას, კომპანია მომავალ ფულად ნაკადებს ადისკონტირებს (გარდა იმ შემთხვევისა, როცა გადახდები მოსალოდნელია ერთ წელში ან ნაკლებში ზარალი მოხდენიდან), შეფასება მოიცავს არაფინანსური რისკის კორექტირებას.

ფასს 17 ცვლის ფასს 4-ს 2023 წლის 1 იანვარის შემდეგ. კომპანიას აქვს გადაანგარიშებული შესადარისი ინფორმაცია ფასს 17-ის გარდამავალი დებულების გამოყენებით.

აღიარება

აღიარების მოთხოვნები ოდნავ განსხვავდება გაცემული ხელშეკრულებისა და დადებული ხელშეკრულებისთვის.

გაცემული ხელშეკრულების ჯგუფებისთვის ჯგუფი უნდა იყოს აღიარებული, შემდეგი თარიღებიდან ყველაზე ადრინდელი თარიღისთვის:

1. სადაზღვევო პერიოდის დასაწყისი;
2. თარიღი, როცა პოლისის მფლობელის გადასახადი გახდება ვადაგადაცილებული;
3. ზარალიანი ხელშეკრულებების ჯგუფისთვის, როცა ჯგუფი გახდება ზარალიანი.

კომპანიამ გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფი უნდა აღიაროს შემდეგი თარიღებიდან უფრო ადრინდელი თარიღისთვის:

1. გადაზღვევის პერიოდის დასაწყისიდან;
2. თარიღი როცა კომპანია აღიარებს წაგებიანი ხელშეკრულებების ჯგუფს, იმ პირობით, რომ გადაზღვევის ხელშეკრულება ძალაში იყო ამ თარიღში ან ამ თარიღამდე.

ზემოაღნიშნული პირველი პუნქტის მიუხედავად, დადებული პროპორციული გადაზღვევის ხელშეკრულებები აღიარება უნდა გადაიდოს ამ გადაზღვევის ხელშეკრულების ფარგლებში მოქცეული პირველი ხელშეკრულების აღიარებამდე.

სადაზღვევო ხელშეკრულებების აგრეგირების დონე

აგრეგირების დონე ეხება ფასს 17-ის მიხედვით ასაღიარებელ ერთეულს. ფასს 17-ის მიხედვით ასაღიარებენ ერთეულს მოიხსენიებენ, როგორც „ხელშეკრულებათა ჯგუფს“ და მოთხოვნები, რომლებიც დაკავშირებულია აგრეგირების დონესთან, აღგენს, თუ როგორ უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ჯგუფები.

სტანდარტმა დაადგინა შემდეგი მოთხოვნები ხელშეკრულებების ჯგუფის დასადგენად:

- პორტფელი - ხელშეკრულებები, რომლებსაც აქვთ მსგავსი რისკები და იმართება ერთად შეიძლება ერთად დაჯგუფდეს.
- მომგებიანობა - ხელშეკრულებები მსგავსი მოსალოდნელი მომგებიანობით (დაწყებისას ან თავდაპირველი აღიარებისას) შეიძლება დაჯგუფდეს.

ამ მიზნით, სტანდარტმა მოითხოვა მინიმუმ შემდეგი სამი კლასიფიკაცია, თუმცა ნებადართულია უფრო დეტალური კლასიფიკაციის გამოყენებაც:

- ხელშეკრულებების ჯგუფი, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წამგებიანია, ასეთის არსებობისას;
- ხელშეკრულებების ჯგუფი, რომელსაც თავდაპირველი აღიარებისას არ აქვს მნიშვნელოვანი ალბათობა იმისა, რომ შემდგომში გახდება წამგებიანი;
- პორტფელში შემავალი დანარჩენი ხელშეკრულებების ჯგუფი.

კოპორტები

კონტრაქტები, რომლებიც დადებულია ერთამეთისგან 12 თვეზე მეტი ინტერვალით არ შეიძლება დაჯგუფდეს. თუმცა, გარკვეულ გარემოებებში ნებადართულია ერთჯერადი გამარტივება მაგალითად - გარდამავალ პერიოდში.

ზემოაღნიშნული სამი მოთხოვნის უნიკალური კომბინაცია ჰქმნის კონტრაქტების ჯგუფს. ანუ ერთი და იგივე პორტფელის კონტრაქტები, მსგავსი მოსალოდნელი მომგებიანობით და დადებული ერთსა და იმავე წელს შეიძლება დაჯგუფდეს ერთად. მიუხედავად იმისა, თუ როგორ განვითარდება მოვლენები პირველადი აღიარების შემდეგ ეს დაჯგუფება მუდმივია და არ შეიძლება შეიცვალოს თავდაპირველი კლასიფიკაციის შემდეგ. მაგალითად, დროთა განმავლობაში, კომპანიამ შეიძლება გააცნობიეროს, რომ ხელშეკრულება, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას წამგებიანად ითვლებოდა, მსგავსი არ აღმოჩნდა მაგრამ თავიდან დაჯგუფება არ არის ნებადართული.

შეფასების მოდელები

გამარტივებული მიდგომით შეფასების მოდელი მოიაზრებს გამოთვლის საფუძველსა ან მეთოდოლოგიების ერთობლიობას სადაზღვევო ხელშეკრულების აქტივების/ვალდებულებების და მასთან დაკავშირებული შემოსავლების/ხარჯების გაზომვისთვის. ფასს 17-მა წარმოადგინა შემდეგი სამი შეფასების მოდელი:

პრემიების განაწილებაზე დაფუძნებული მიდგომა ("PAA")

PAA არის არჩევითი გამარტივებული მიდგომა, რომელსაც კომპანიას შეუძლია გამოიყენოს ისეთი ხელშეკრულებებისთვის რომლებიც აკლავს ფილებზე შემდეგ მოთხოვნებს:

- მოკლევადიანი ხელშეკრულებები - 12 თვემდე დაფარვით ან;
- ხელშეკრულებები რომლისთვისაც დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება არ იქნება მატერიალურად განსხვავებული PAA-სა თუ GMM-ის მეთოდების გამოყენებისას.

გამოთვლების თვალსაზრისით, ძირითადი გამარტივება ეხება დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებას (LRC-ს).

PAA-ს მიხედვით, არ არის საჭირო პრემიის თითოეული კომპონენტის ცალ-ცალკე განხილვა, ამის ნაცვლად შეიძლება წარდგენა მოხდეს ერთ ვალდებულებად. ნებისმიერი შეფასების თარიღისთვის PAA-ს ქვეშ მყოფი ვალდებულების კომპონენტები შეიძლება შეჯამდეს შემდეგნაირად:

დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება ("LRC")

- გარდა ზარალის კომპონენტისა
- ზარალის კომპონენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში

დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულება ("LIC")

- მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებება
- რისკის კორექტირება
- მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებების დისკონტირება

კომპანიის ყველა მოკლევადიანი გარიგება ექვემდებარება ამ გამარტივებას და კომპანიამ ეს მიდგომა ყველა შესაბამის შემთხვევაში. PAA-ს მიხედვით, ზარალის კომპონენტი და ზარალის რეზერვები მოითხოვს რისკის კორექტირებას, რაც გაზრდის ვალდებულებებს, ხოლო დისკონტირება ზოგადად შეამცირებს ვალდებულებებს. PAA-ს წმინდა ეფექტი დამოკიდებულია იმაზე, არის თუ არა რისკის კორექტირება მეტი დისკონტირების ეფექტზე ან გადავადებული ხარჯების ეფექტზე, რომელიც ამჟამად არ არის გადავადებული.

ზოგადი შეფასების მოდელი ("GMM")

GMM არის ძირითადი მოდელი და გამოიყენება ყველა კონტრაქტზე, რომლებზედაც არ ვრცელდება პრემიის განაწილების მიდგომა ("PAA") და ცვლადი საფასურის მიდგომა ("VFA"). GMM ეფუძნება წინაპირობას, რომ პრემიები სადაზღვევო კონტრაქტებიდან მოიცავს გარკვეულ კომპონენტებს (როგორცაა ზარალები, ხარჯები და მოგება) და რომ თითოეული კომპონენტი უნდა იყოს გათვალისწინებული მისი არსის მიხედვით. ვალდებულება GMM-ის მიხედვით შეფასების ნებისმიერი თარიღისთვის მოიცავს შემდეგს:

დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება ("LRC")

- მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებება
- რისკის კორექტირება
- მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებების დისკონტირება
- სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა ("CSM")

დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულება ("LIC")

- მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებება
- რისკის კორექტირება
- მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებების დისკონტირება

ცვალებადი საზღაურის მიდგომა ("VFA")

VFA არის სავალდებულო ცვლილება ხელშეკრულებებში პირდაპირი მონაწილეობის მახასიათებლებით. კონტრაქტი არის ხელშეკრულება პირდაპირი მონაწილეობით, თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

- სახელშეკრულებო პირობები აზუსტებს, რომ დამზღვევი მონაწილეობს ძირითადი ელემენტების მკაფიოდ გამოვლენილ ჯგუფში.
- კომპანია მოელის, რომ გადაუხადოს დამზღვევს სამართლიანი ღირებულების უკუგების ტოლ თანხას.
- კომპანია მოელის, რომ გადაუხადოს დამზღვევს სამართლიან ღირებულებაში ცვლილებით დაკორექტირებულ თანხას.

VFA -ის მიდომით აღიარებული ვალდებულების კომპონენტები იგივეა, რაც GMM-ით და მათი გამოთვლებიც საკმაოდ მსგავსია გარდა CSM-ის ნაწილისა. VFA-ს მიხედვით, CSM-ის გამოთვლები ასახავს ცვალებადობას, რომელიც დაკავშირებულია ძირითად ერთეულებთან, მაგრამ GMM არ ასახავს ამ ცვალებადობას. ანალოგიურად, არის ფინანსურ რისკთან დაკავშირებული სხვა ასპექტები, რომლებიც გავლენას ახდენს CSM-ზე VFA-ის გამოყენებისას, მაგრამ არა GMM-ის ქვეშ.

ზემოთ განხილული შეფასების მოდელები ეხება გაცემული სადაზღვევო კონტრაქტების და მასთან დაკავშირებული ვალდებულებების კონტექსტს, მაგრამ იგივე პრინციპები გამოიყენება გადაზღვევის კონტრაქტებზე და მათთან დაკავშირებულ აქტივებზე (გარდა VFA-ისა). ანალოგიურად, გვხვდება LRC და LIC კომპონენტები, თუმცა თავდაპირველი აღიარებისას მხოლოდ LRC გამოიყენება.

მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებები, რისკის კორექტირება და დისკონტირება ერთობლივად მოიხსენიება, როგორც გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ("FCF"). შემოსავლებისა და ხარჯების თვალსაზრისით GMM და VFA საკმაოდ მსგავსია, თუმცა მნიშვნელოვანი განსხვავებაა GMM/VFA და PAA-ს შორის. შემოსავლები GMM-სა და VFA-ში ასახავს პრემიის თითოეულ კომპონენტს ინდივიდუალურად (როგორცაა მაგალითად მოსალოდნელი ზარალები და ხარჯები), ხოლო PAA-ში შემოსავალი ასახულია მხოლოდ მთლიანი თანხით.

კომპანიის ერთეულებთან დაკავშირებული ხელშეკრულებები იზომება VFA-ს გამოყენებით, ყველა სხვა გრძელვადიანი ხელშეკრულებები იზომება GMM-ის გამოყენებით. არსებობს ფუნდამენტური განსხვავებები GMM/VFA-სა და გრძელვადიანი ხელშეკრულებების მიმდინარე მეთოდოლოგიებს შორის. ძირითადი განსხვავებები მდგომარეობს შემდეგში:

